



# ახალი განათლება

2012 წელი, 8-14 მარტი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№10 (564) გაიქცა 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



სასერტიფიკაციო გამოცდაები

**განვითარებისა და  
სწავლის თეორიები**

გვერდი 2

პრობლემური პრობლემური გამოცდაები

**როგორ შევასწოთ  
განსხვავებული, ანუ გე  
საინფორმაციო ვარ**

გვერდი 3

მეთოდოლოგია

**უიზივის ავტოგონა  
დასახელებულად**

გვერდი 4-5

იურიდიული კონსულტაცია


**ავტოგონა  
შეკითხვებს პასუხებს  
საშემსრულებელი იურიდიული  
თამარ ავალიანი**

გვერდი 8

## „ახალი განათლების“ წიგნის თარო

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი წიგნები პირველად არის წარმოდგენილი ისე, როგორც ყოველ სტროფს უშუალოდ ახლავს, მოსდევს მისი კომენტარი – ქველად განსაზღვრის სიტყვების, გამოთქმების და ფრაზების, სხეულების, ქვეტექსტების განმარტება. გუნდები-ვინა, ეს გასაღებიდან მოსწავლეს პოემის ტექსტის აღქმას და განსაზღვრას, უფრო ეფექტურად განსაზღვრის „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების პროცესს.

ანალიტიკურ განმარტებებში, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ერთგვარად, დეტალურად არის განსაზღვრული პოემის მხატვრული რეალობა, პერსონაჟთა სხეულები და მათი ურთიერთობა, სიტუაციები და კოლიზიები, რომლებშიც ისინი არიან მოქცეულნი. განმარტებებში წარმოდგენილია ნაწარმოების ძირითადი პრობლემები, მოტივები, სათქმელი, კონტრასტის არსი. ანალიზი წარმართული ნაწარმოების ეპიზოდების მიხედვით და პედაგოგს შესაძლებლობა ეძლევა, მოსწავლეს ნაწარმოების ამა თუ იმ მომენტის განმარტებისთანავე მიანდოს შესაბამისი ანალიტიკური განმარტება. ყოველივე ეს მიმართულია იმისკენ, რომ ახალგაზრდა მკითხველებმა უფრო მეტი ინტერესით, უფრო ცოცხლად აღიქვან რუსთაველის პოემა, უფრო ღრმად და საფუძვლიანად ჩაგვიდნენ მის რთულ, მრავალპლანურ აზრობრივ წყობას.



შოთა რუსთაველი  
ვეფხისტყაოსანი

კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური განმარტებები ლიტერატურის შემსწავლელთა და მოყვარულთათვის

ტექსტის კომენტარები და ანალიტიკური განმარტების ავტორი თამარ ვასაძე

ფასი 11 ლარი









# გაკვირილის გეგმა ფიზიკაში

## არქიმედეს კანონი

**თემა:** არქიმედეს კანონი.

**მიზანი:** ანალიზის გაკეთების, ექსპერიმენტის ჩატარების, პრობლემის დასმისა და მისი გადაჭრის უნარების განვითარება.

**რეზიუმე:** დინამომეტრი, სხეული, სასხმელიანი ჭიქა, წყალი, პოლიეთილენის ორი ჭიქა, რკინის მასიური სხეული, კორბი.

**ბაზა:** იციან ერთი წრფის გასწვრივ მოქმედი, ერთ მხარეს მიმართული და სხვადასხვა მხარეს მიმართული ძალების შეკრება /ტოლქმედის პოვნა/ და ტოლქმედი ძალის მიმართულების დადგენა.


ატქიმეზა 1. ბაზის, ანუ წინასწარი ცოდნის შემოწმება

**დრო:** 5 წთ.

**მუშაობის ფორმა:** კლასთან, ინდივიდუალური.

**შეფასება:** ინდივიდუალური, განმავითარებელი.

მოსწავლეები იღებენ დაეალებას წარმოდგენილს პლაკატის სახით, რომელიც დაფაზეა გა-მოკრული, მასზე გამოსახულია სხეულზე მოქმედი ერთი წრფის გასწვრივ მოქმედი ძალები



ა)  $F_1 > F_2$       ბ)  $F_1 < F_2$       გ)  $F_1 = F_2$

მოსწავლეებს ნათლად ესმით სამივე შემთხვევის შედეგი და ასახულებენ, რომ ერთი წრფის გასწვრივ მოქმედი და ერთი მხარეს მიმართული ძალების ტოლქმედის მოდული მდგენელი ძალების მოდულების ჯამის ტოლია და მიმართულია იმავე მხარეს

$$|F| = |F_1 + F_2|$$

ერთი წრფის გასწვრივ მოქმედი და ურთიერთსაპირისპიროდ მიმართული ძალების ტოლქმედის მოდული მდგენელი ძალების მოდულების სხვაობის ტოლია და მიმართულია მოდულით მეტი ძალის მხარეს

$$|F| = |F_1 - F_2|$$

ერთი წრფის გასწვრივ მოქმედი და ურთიერთსაპირისპიროდ მიმართული ძალების ტოლქმედის მოდული ნულის ტოლია  $|F| = |F_1 - F_2| = 0$ , მოსწავლეები ათვისებენ იგივეს – ან უძრავია, ან მოძრაობს თანაბრად.

ატქიმეზა 2. ექსპერიმენტი და დისკუსია ექსპერიმენტის შესახებ

**დრო:** 15 წთ.

**მუშაობის ფორმა:** მთელ კლასთან.

**შეფასება:** ინდივიდუალური, განმავითარებელი.

გაკვეთილს ვინცერთ კითხვა-პასუხის პარალელური ექსპერიმენტით, ვაკეთებთ ანალიზს და საჭირო შედეგები შევკავებს ცხრილში, რომელიც წინასწარაა დაზაზული დაფაზე: სადგომ-სტრატეგიო მავადანთან ექსპერიმენტზე, მასწავლებლის დახმარებით, მუშაობს ორი მოსწავლე.

სხეულსა და ჭიქაზე მოქმედი სიმძიმის ძალის მოდული $F_1$ , ნ	დინამომეტრის ჩვენება სხეულის წყალში ჩაშვების შემდეგ $F_2$ , ნ	ამომგდები ძალა $F = F_1 - F_2$	დინამომეტრის ჩვენება ჭიქაში წყლის ჩასხმის შემდეგ $F_1'$	სხეულის მოცულობა $V_1$ , მ <sup>3</sup>	V-მოცულობის წყალზე მოქმედი სიმძიმის ძალა $F_1'$ , ნ

კითხვა-პასუხი მონაწილეობს მთელი კლასი.

მოსწავლე შტატივეზე დამაგრებულ დინამომეტრზე კიდებს ცარიელ ჭიქას და  $m_1$  მასის სხეულს (ნახ. 1).

**კითხვა:** რას გვიჩვენებს დინამომეტრი?

**პასუხი:** სხეულსა და ჭიქაზე მოქმედ სიმძიმის ძალის  $F_1 = mg$

$F_1$ -ის მნიშვნელობა შევკავებს ცხრილში.

**კითხვა:** როგორ შეიცვლება დინამომეტრის ჩვენება, თუ მასზე დაკიდებულ სხეულს ნელ-ნელა საყრდენზე დაუშვებთ?

**პასუხი:** დინამომეტრის ჩვენება შემცირდება, რადგან საყრდენი მოქმედებს ზემოთ მიმართული დრეკადობის/რეაქციის ძალით.

**კითხვა:** როგორ შეიცვლება დინამომეტრის ჩვენება, თუ მასზე დაკიდებულ სხეულს სითხეში ჩაუშვებთ?

მოსწავლე დინამომეტრზე დაკიდებულ სხეულს უშვებს წყალში საცხე სასხმელიანი ჭიქაში, აკვირდებიან დინამომეტრის ჩვენებას.

**პასუხი:** დინამომეტრის ჩვენება შემცირდება, რადგან სითხე ასრულებს საყრდენის როლს და სხეულს ზევით აწევს.

მოსწავლეები ამჩნევენ, რომ სითხეში სხეულის ჩაშვებისას ჭურჭლიდან სითხე გამოიღვრება.

**კითხვა:** რა მოცულობის სითხეს გამოაძეგებს სხეული ჭურჭლიდან?

მოსწავლეები ზომავენ ჭურჭლიდან გამოიღვრული სითხის მოცულობას და ადარებენ მას სხეულის მოცულობას

$$V = \frac{m}{\rho_{\text{წყ}}}$$

**პასუხი:** სხეული გამოაძეგებს თავისი მოცულობის ტოლ სითხეს.

**კითხვა:** რას უდრის დინამომეტრის ჩვენება სხეულის წყალში ჩაშვების შემდეგ?

**პასუხი:**  $F_2$ / მისი მნიშვნელობა შეაქვთ ცხრილში.

**კითხვა:** რას უდრის ამომგდები ძალა?

**პასუხი:**  $F_a = F_1 - F_2$

**კითხვა:** როგორ დავაკვიროთ სხეულზე მოქმედი ამომგდები ძალა სხეულის მოცულობასთან?

მოსწავლეები სხეულის მიერ გამოძეგებულ, ჭურჭლიდან გამოიღვრულ სითხეს ასხამენ დინამომეტრზე დაკიდებულ ჭიქაში.



**კითხვა:** რას გვიჩვენებს დინამომეტრი?

**პასუხი:** ისევ  $F_1$ -ს.

მოსწავლეებს გამოაქვთ დასკვნა: ამომგდები ძალა ტოლია სხეულის მიერ გამოძეგებული სითხის წონის.

$$F_a = mg = \rho_{\text{სითხე}} g V$$

სადაც  $V$  სხეულის მოცულობაა.

**კომენტარი:** ეს ფორმულა სამართლიანია აირებისთვისაც.

სითხეში ან აირში ჩაძირულ სხეულზე მოქმედი ამომგდები ძალის სიდიდე განსაზღვრა არქიმედემ, ამიტომ მას არქიმედეს ძალასაც უწოდებენ, ხოლო კანონს – არქიმედეს კანონს, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

სითხეში/აირში ჩაძირულ სხეულზე, სითხის/აირის მხრიდან მოქმედებს ამომგდები ძალა, რომელიც გამოძეგებული სითხის/აირის წონის ტოლია.


ატქიმეზა 3. დისკუსია

**დრო:** 10 წთ.

**მუშაობის ფორმა:** მთელ კლასთან.

**შეფასება:** ინდივიდუალური, განმავითარებელი.

**რესურსები:** წყლიანი პოლიეთილენის ჭიქა, რკინის მასიური სხეული, კორბი. დაფაზე წინასწარ დაზაზული სურათი.



მოსწავლეებს ეძლევათ დაფაზე გამოსახული სურათი გადაზაზონ რეგულში და გამოსახონ წყალში ჩაძირულ სხეულზე მოქმედი ძალები. შემდეგ იმავეს ვასრულებთ დაფაზე გამოსახულ სურათზე.

**კითხვა:** საით ამოძრავდება სხეული, როდესაც მასზე ერთი წრფის გასწვრივ ურთიერთსაპირისპიროდ მიმართული ორი ძალა ერთდროულად დაიწყებს მოძრაობას?

**პასუხი:** სხეული ამოძრავდება დიდი ძალის მხარეს.

**კითხვა:** რა ძალები მოქმედებს სითხეში მოთავსებულ სხეულზე?

**პასუხი:** ქვემოთ მიმართული სიმძიმის და ზემოთ მიმართული არქიმედეს ძალები.

**კითხვა:** გამოიტანეთ დასკვნა: საით ამოძრავდება სხეული სითხეში მოთავსების შემდეგ, თუ მას ხელს ვაუშვებთ?

**პასუხი:** თუ სიმძიმის ძალის მოდული მეტი იქნება არქიმედეს ძალის მოდულზე, ამოძრავდება ქვევით (ჩაძირება) თუ პირიქით – ზევით (ამოტივტივდება).

**კითხვა:** თუ სიმძიმის ძალის მოდული ტოლი იქნება არქიმედეს ძალის მოდულის, მაშინ?

**პასუხი:** სხეული გაჩერდება იქ, სადაც ვაუშვებთ ხელს?

ამ დასკვნებს მოსწავლეები ამოწმებენ მარტივ ცდით. წყლიან ჭიქაში უშვებენ რკინის სხეულს და კორპის ნაჭერს.

**დასკვნა:** რკინის სხეული იძირება, კორბი – არა.

**კითხვა:** რატომ იძირება რკინის სხეული?

**პასუხი:** რკინის სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალის მოდული  $F_{\text{სიმძ}} = mg = \rho_{\text{რკ}} g V$

ხოლო არქიმედეს ძალის მოდული  $F_a = \rho_{\text{სითხე}} g V$

$\rho_{\text{რკ}} > \rho_{\text{წყ}}$ , ამიტომ  $F_{\text{სიმძ}} > F_a$  და სხეული იძირება.

**კითხვა:** რატომ ამოტივტივდა კორბი?

**პასუხი:** იმიტომ, რომ  $\rho_{\text{კორბი}} < \rho_{\text{სითხე}}$

ატქიმეზა 4. საკლასო დაეალება. ამოცანების ამოხსნა


**დრო:** 7 წთ.

**მუშაობის ფორმა:** მუშაობა წყვილებში.

**შეფასება:** განმავითარებელი.

1. ამოცანა – დინამომეტრზე დაკიდებული ტოლი მოცულობის, მაგრამ განსხვავებული მასის სხეულები სითხეში ჩაუშვებთ ისე, რომ მთლიანად დაიფაროს. ერთიანად შეიცვლება თუ არა დინამომეტრის ჩვენება? პასუხი დაასაბუთეთ.

2. ამოცანა – ნახაზე მოცემულია ორ სხვადასხვა ჭურჭელში სითხეში ჩაძირული ზამბარაზე დაკიდებული სხეულები. ზამბარები და სხეულები ერთიანად, მაგრამ მათი სიგრძის ცვლილება სხვადასხვაა. თქვენი აზრით, რითაა განპირობებული ეს? ასე-ნაი.



ატქიმეზა 5. საკლასო დაეალების პრეზენტაცია

**დრო:** 5 წთ.

**პასუხები:**

ამოცანა 1. დინამომეტრის ჩვენება ერთიანად შემცირდება, რადგან ამომგდები ძალა არ არის დამოკიდებული მასაზე, იგი დამოკიდებულია სითხეში ჩაძირული სხეულის მოცულობაზე, რადგან  $V_1 = V_2$ , ამიტომ  $F_{a1} = F_{a2}$

ამოცანა 2. რადგან სხეულები და ზამბარები ერთიანად, ამიტომ ზამბარების სიგრძის ცვლილების სხვაობა გამოწვეული იქნება სითხეთა სხვადასხვაობით. სითხის სიმკვრივე მარცხენა ჭურჭელში მეტია, ვიდრე მარჯვენა ჭურჭელში, შესაბამისად, მარცხენა ჭურჭელში ამომგდები ძალა მეტია, ამიტომ ის ნაკლებად ჩაიძირება.

ატქიმეზა 6. საშინაო დაეალება

**დრო:** 3 წთ.

**პრობლემაზე მუშაობა**

მოსწავლეებს ეძლევათ დაეალება – იფიქრონ და მოამზადონ პასუხი კითხვაზე – თვით სითხეზე ან აირზე მოქმედებს თუ არა ამომგდები ძალა? ამ საკითხთან დაკავშირებით, მოიფიქრონ ექსპერიმენტი.

დათუნა ჯონაძე

პროექტ „ახალი საკრთეველობათის“ კონსულტანტი მასწავლებელი, მესტია, იფარის საჯარო სკოლა



მათემატიკა

# ფიზიკის კვლავობითა დასახმარებლად მექანიკური ტალღები

**ამოცანა 37**

450 ჰც სიხშირის ტალღები ვრცელდება 360 მ/წმ სიჩქარით. რას უდრის ფაზებს შორის სხვაობა იმ ორ წერტილს შორის, რომლებიც ერთმანეთისგან 20 სმ-ითაა დაშორებული?

ამოხსნა:

ტალღის სიგრძე გამოვთვალოთ შემდეგი ფორმულით:

$$\lambda = \frac{v}{\nu} = \frac{360}{450} = 0.8 \text{ მ. აქ } \nu \text{ ტალღის გავრცელების სიჩქარეა, } v \text{ - სიხშირე. მაგრამ}$$

$$\frac{l}{\lambda} = \frac{0.2}{0.8} = 0.25 \text{ საიდანაც ჩანს, რომ } 20 \text{ სმ შეესაბამება ტალღის სიგრძის}$$

მეოთხედს, ამიტომ ფაზათა სხვაობა  $\Delta\varphi = \frac{2\pi l}{\lambda} = \frac{\pi}{2}$  იგივე შედეგს მივიღებთ, თუ

დავწეროთ ტალღის განტოლებას:  $y = A \sin\left(t - \frac{l}{v}\right)$ , ანუ  $y = A \sin\left(2\pi\nu t - \frac{2\pi\nu l}{v}\right)$ ,

სადაც  $\Delta\varphi$  ტალღის ფაზათა სხვაობაა  $l$  მანძილზე:  $\Delta\varphi = \frac{2\pi\nu l}{v} = \frac{\pi}{2}$ .

**ამოცანა 38**

როგორ იცვლება ჰაერიდან წყალში გადასვლისას ბგერითი ტალღის სიხშირე და სიგრძე?


ამოხსნა:

ჰაერიდან წყლის ზედაპირზე დაცემისას  $v$  სიხშირის ბგერითი ტალღა გამოიწვევს წყლის ზედაპირის რხევას იგივე სიხშირით. ამავე დროს ზედაპირის მერხვეი წერტილების რხევა გადაეცემა წყლის შიდა ფენებს, ანუ მოხდება წყალში  $v$  სიხშირის ბგერითი ტალღის გავრცელება. შედეგად, ჰაერიდან წყალში გადასვლისას ბგერის სიხშირე არ იცვლება. როგორც ცნობილია, ბგერა ჰაერში და წყალში განსხვავებული სიჩქარით ვრცელდება: ჰაერში ბგერის სიჩქარე  $v_1 = 340$  მ/წმ-ს, წყალში  $v_2 = 1500$  მ/წმ-ს. ბგერითი ტალღის სიგრძე ჰაერსა და წყალში გამოისახება ფორმულებით:

$$\lambda_1 = \frac{v_1}{\nu} \text{ და } \lambda_2 = \frac{v_2}{\nu}. \text{ საიდანაც მივიღებთ, რომ } \frac{\lambda_2}{\lambda_1} = \frac{v_2}{v_1} = \frac{1500}{340} \approx 4.4$$

**ამოცანა 39**

$H=1$  მ სიმაღლის ცილინდრული ჭურჭლის ზემოთ ირხევა  $\nu=340$  ჰც სიხშირის კამერტონი (იხ. სურათი). ჭურჭელში წყალი ამატებენ წყალს. წყლის დონის რა მნიშვნელობებისთვის გაძლიერდება კამერტონის ხმა?



ამოხსნა:

ბგერის გაძლიერება ხდება რეზონანსის გამო, ანუ იმ დროს, როდესაც კამერტონის მიერ წარმოქმნილი ბგერის სიხშირე გაუტოლდება ჭურჭელში ჰაერის სვეტის საკუთარი რხევის სიხშირეს. რადგან წყლის სიძვერე გაცილებით მეტია ჰაერის სიძვერეზე, წყლის ზედაპირი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ჰაერის სვეტის მყარი ქვედა სარკველი, რის გამოც ამ ზედაპირზე უნდა გაჩნდეს მდგარი ტალღის კვანძი. შესაბამისად, ჭურჭლის ზედაპირზე იქნება ამავე ტალღის თხემი. მდგარი ტალღის უახლოეს კვანძსა და თხემს შორის

მანძილი  $\frac{\lambda}{4}$ -ის ტოლია, უახლოეს კვანძებს შორის მანძილი კი  $-\frac{\lambda}{4}$ -ის. ამიტომ თუ ჭურჭელში წყლის დონეს  $h$ -ით აღვნიშნავთ, ჰაერის სვეტის სიმაღლე  $H-h$  უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობას:


$$H-h = \frac{\lambda}{4} + k \frac{\lambda}{2}, \text{ სადა } k \text{ იღებს მნიშვნელობებს } 0, 1, 2 \text{ და ა.შ. რადგან } \lambda = \frac{v}{\nu} = 1 \text{ მ,}$$

ამიტომ ეს პირობა სრულდება  $k=0$ -ისთვის, რომლისთვისაც  $H-h_0=0,25$  სმ და შესაბამისად  $h_0=0,25$  სმ და  $k=1$ -სთვის. ამ შემთხვევაში  $H-h_1=0,75$  სმ და  $h_1=0,25$  სმ. ე.ი. ბგერა გაძლიერდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჭურჭელში წყლის დონე იქნება 25 სმ და 75 სმ.

**ამოცანა 40**

$l=1$  მ სიგრძის სამი ცილინდრული მილიდან ერთი მათგანი ორივე მხრიდან ღიაა, მეორე ცალი მხრიდანაა დახურული, მესამე კი - ორივე მხრიდან. რა მინიმალური სიხშირის მდგარი ტალღები წარმოიქმნება მილში, თუ ჰაერში ბგერის გავრცელების სიჩქარეა  $\nu=340$  მ/წმ?

ამოხსნა:



სურ. 1

სურ. 2

სურ. 3

ორივე მხრიდან ღია მილში წარმოქმნილ ძირითად მდგარ ტალღას თხემები უნდა ჰქონდეს ღია კიდებში, ანუ გარემოსთან კონტაქტის ადგილზე. შესაბამისად, კვანძი წარმოიქმნება მილის შუაში (იხ. სურ. 1). ეს იმას ნიშნავს, რომ 1 მ სიგრძის მილში მოთავსდება ტალღის სიგრძის ნახევრის მთელი რიცხვი და მათ შორის უდიდესი ტალღის სიგრძე იქნება  $\lambda/2$ , ე.ი. ამ ტალღის სიგრძე 2 მ-ის ტოლია, რომელსაც შეესაბამება მილში წარმოქმნილი მდგარი ტალღებიდან მინიმალური სიხშირე:  $\nu_1 = v/\lambda_1 = 170$  ჰც. იგივე სიხშირე მიიღება ორმხრივ დახურულ მილში, რადგან ამ შემთხვევაშიც მილში მოთავსდება ტალღის სიგრძის ნახევრის მთელი რიცხვი იმ განსხვავებით, რომ კვანძები გვექნება კედლებთან, თხემი - მილის შუაში (იხ. სურ. 3). ე.ი.  $\nu_2 = \nu_1 = 170$  ჰც. ცალი მხრიდან დახურულ მილში ღია მხარეს თხემი ჩნდება, კედელთან (დახურულ მხარეს) კი - კვანძი. ამიტომ, ამ შემთხვევაში, მილში წარმოიქმნება ისეთი მდგარი ტალღები, რომლის სიგრძის მეოთხედის კენტი რიცხვი ტოლი უნდა იყოს მილის სიგრძის. ამ ტალღებს შორის უდიდესი  $\lambda_2/4$ -ის ტოლია (იხ. სურ. 2). ამის გათვალისწინებით  $\lambda_2 = 4l = 4$  მ. ამ ტალღას შეესაბამება სიხშირე:  $\nu_2 = v/\lambda_2 = 85$  ჰც.

**ამოცანა 41.**

მოდრაი გემი გამოსცემს 400 ჰც სიხშირის ხმოვან სიგნალს, რომელსაც უძრავად მდგომი დამკვირვებელი აფიქსირებს, როგორც 395 ჰც-ს. რა სიჩქარით მოძრაობს გემი? უახლოვდება, თუ შორდება იგი დამკვირვებელს?

ამოხსნა:

ბგერის სიხშირე დამოკიდებულია ბგერის წყაროს სიჩქარეზე (დოპლერის ეფექტი). უძრავი წყაროს შემთხვევაში, რხევების  $T$  პერიოდის შესაბამისი დროის განმავლობაში, რხევები ვრცელდება ტალღის სიგრძის ტოლ მანძილზე  $\lambda_0 = cT$ , სადაც  $c$  ბგერის გავრცელების სიჩქარეა ( $c=340$  მ/წმ). იმ შემთხვევაში, როცა ბგერის წყარო მოძრაობს  $v$  სიჩქარით, იმავე  $T$  დროში ბგერის გავრცელების მიმართულებით ის გაივლის  $vT$  მანძილს და ამიტომ რხევები გავრცელდება აღნიშნული სიდიდით ნაკლებ მანძილზე:  $\lambda = \lambda_0 - vT = (c-v)T$ . თუ იგივე მსჯელობას ჩავატარებთ ბგერის წყაროს საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობის შემთხვევაში, მივიღებთ, რომ  $\lambda = (c+v)T$ . ამიტომ უძრავი დამკვირვებლის მიერ აღქმული ხმოვანი სიგნალის სიხშირე ასე გამოისახება:

$$\nu = \frac{c}{\lambda} = \frac{c}{(c \pm v)T}. \text{ თუ ამ ფორმულაში } T\text{-ს ნაცვლად ჩავსვამთ } 1/\nu_0\text{-ს, სადაც } \nu_0 = 400 \text{ ჰც-ს, მივიღებთ: } \nu = \frac{c\nu_0}{(c \pm v)}. \text{ ბგერის წყაროს უძრავი დამკვირვებლისკენ}$$

მოძრაობისას ფორმულას ასეთი სახე ექნება:  $\nu = \frac{c\nu_0}{(c-v)}$ , საწინააღმდეგო

მიმართულებით მოძრაობისას კი  $\nu = \frac{c\nu_0}{(c+v)}$ , რადგან ვიცით, რომ  $v < \nu_0$ , ამიტომ

ვასკვნით, რომ გემი მოძრაობისას შორდება დამკვირვებელს. ამ უკანასკნელი ფორმულიდან გემის მოძრაობის სიჩქარისთვის მივიღებთ:  $v = (\nu_0 - \nu) / \nu \approx 4,3$  მ/წმ.

თემატიკაზე გააჩივრება  
 აკად. ი. ვეჯუას სახ. ფიზიკა-მათემატიკის  
 №42 საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი  
 და დირექტორის მოადგილე

# დროის მოთხოვნების შესაბამისად



ჩვენი ცხოვრების წესი განსაზღვრულია ახალი სინამდვილით და ახალი გამოწვევებით. ჩვენ ისე აღარ აღვიქვამთ სამყაროს, როგორც ჩვენი მშობლები; ცხოვრება ახალ უნარ-ჩვევებს და სხვაგვარ ცოდნას მოითხოვს ჩვენგან. იცვლება ტერმინოლოგია; ისეთი სიტყვები, როგორცაა: მარკეტინგი, მენეჯმენტი, პიარ-ტექნოლოგია ორი ათეული წლის წინათ ქართული საზოგადოებისთვის აბსოლუტურად უცნობი იყო; დღეს კი ეს ყოველივე ჩვეულებრივი რეალობაა.

ჩვენ შევეცადეთ, დროის ამგვარი მოთხოვნები შეძლებისდაგვარად გავვეთვალისწინებინა. ის, რაც 53-ე სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა გაგაკეთეთ, შეიძლება შეფასდეს, როგორც მარკეტინგული კვლევა; იქნებ ცოტა დილექტანტური, მაგრამ უაღრესად გულწრფელი და არსებული რეალობის გარკვეული კუთხით დანახვის სურვილით ნაკარნახევი.

მათემატიკის პედაგოგის, ქალბატონ **მარინა კვანჭილაშვილის** ხელმძღვანელობით, კლასი დაიყო ჯგუფებად. თითოეულმა ჯგუფმა შეარჩია მისთვის საინტერესო თემატიკა ნაცნობი ბრენდების და

სხვადასხვა ორგანიზაციების შესახებ არსებული მარკეტინგული რეალობის გათვალისწინებით.

სხვადასხვა ორგანიზაციებში სტუმრობისას ესწავლობდით ქსელური მარკეტინგის მონაცემებს, გაყიდვის შედეგებს, შემოსავლებს, სოციალურ კვლევებს და ყოველივე ამის მიხედვით ვაგროვებდით მონაცემებს. შემდეგ პროცენტული მაჩვენებლები გამოვსახეთ სვეტოვანი და წრიული დიაგრამებით პიქტოგრამით, გრაფიკით.

პირველმა ჯგუფმა, რომლის შემაჯავებლობაშიც იყვნენ: **ბარბარა ბარამიძე, ანა ჩიტაიშვილი, ქეთი სირაძე, თაკი მათიკაშვილი და თინათინ გაგლოშიძე**, შეაგროვეს მონაცემები „მაკდონალდის“ ქსელის შესახებ.

საკმაოდ საინტერესო იყო შვედრული მონაცემები კომპანია „APPLE“-ის შესახებ, რომელიც წარმოადგინეს **სალომე კახაბერაძე, სალომე ძანაშვილი, მარი ყიფიანაძე, ნუცა შიშინაშვილი** და **ნიკა ანგურაძე**.

მოსწავლეების ყურადღება დაიმსახურა საიუველირო მალაზიითა ქსელის „დელოსის“ გაყიდვების მონაცემებმა, რომელიც შეაგროვეს და წარმოადგინეს **ეკატერინე**

**მაღალიაძე, ნინო ქურდაძე, გივი გიორგაძე, ანა კიკნაძე და მარიამ ნაფციაშვილი**. მათ ასევე დაადგინეს, მათი კლასის სტატისტიკიდან გამომდინარე, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა სიმღერით არის დაკავებული და ამის საილუსტრაციოდ საქართულოს სახელმწიფო პიშინი შეასრულეს.

მორიგმა ჯგუფმა **ვასიკო ყავლაშვილის, გელა მეგვინიშვილის, ზუკა კერესელიძის, სანდრო მახმილიძის და ნიკა კალანდაძის** შემაჯავებლობით, საფაქტო ქსელის „აგროსის“ მარკეტინგული მონაცემები წარმოგვიდგინა;

პარფუმერული ქსელის „ეულეფუს“ შესახებ მონაცემები წარმოადგინეს **ნატა კალანდაძემ, მარი მელიქიშვილმა, ვანო ფანჯავიძემ და გვანცა რობაქიძემ**.

პარფუმერული ქსელის „ეულეფუს“ შესახებ მონაცემები წარმოადგინეს **ნატა კალანდაძემ, მარი მელიქიშვილმა, ვანო ფანჯავიძემ და გვანცა რობაქიძემ** და **ლიზი ლაკიაშვილი, ქეთა კიკაბიძე** და **ქეთი კვიციანი** სტუმრებს შესთავაზეს მონაცემები ავიკომპანია „აირ-უნეს“ შესახებ, ხოლო **გიორგი მეცხოველიშვილი, დათო გამსახურდიაშვილი, ივა პატარკაციანიშვილი და ზუკა ცერცვაძემ** წარმოადგინეს პროექტი მთაწმინდის პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში აღრიცხული დანაშაულებათა სტატისტიკის შესახებ.

პროექტზე მუშაობის პროცესში ქალბატონი მარინა კვანჭილაშვილი უამრავ მითითებას გაძლევდა და მეთვალყურეობდა ჩვენს ყოველ ახალ ნაშრომს, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას ვუხდით. ჩვენს პროექტს ასევე მხარში ედგა კლასის ხელმძღვანელი, ქალბატონი **ელენე რატიანი**.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ჩვენი მათემატიკის სახელმძღვანელო ავტორები, პროფესორები, ბატონები – **თეიმურაზ ვეფხვაძე და გურამ გოგიშვილი**, რომლებმაც საკმაოდ მაღალი შეფასება მისცეს როგორც მოსწავლეების, ასევე მასწავლებლის ნაშრომს.

„მინდა აღვნიშნო ის, რომ ეს დამუშავებული პროექტები და დღევანდელი დღე სრულიად შეესაბამება ახალ სულისკვეთებას, რითაც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა წარმოდგენილი – ბრძანა თემურ ვეფხვაძემ – საქირია ბავშვებმა იცოდნენ მათემატიკის შესწავლის მიზანი და ჰქონდეთ მისი ათვისების მოტივაცია“.

**გურამ გოგიშვილი**: „ძალიან მინიშნულია ის, რომ თეორიული ცოდნებიდან ადამიანმა ნაპოვო გადადგას უშუალოდ მისი გამოყენე-

ბისკენ. და როცა დღევანდელი პრეზენტაციის მონაწილე ახალგაზრდები უმაღლესი სკოლის პირველ კურსს მიაღწევენ, მათ აუცილებლად გამოადგებათ ეს გამოცდილება საუნივერსიტეტო პროგრამაში შეტანილი მარკეტინგისა და მენეჯმენტის საფუძვლიანი შესწავლის საქმეში.“

პრეზენტაციის ესწრებოდნენ „მაკდონალდის“ და „დელოსის“ წარმომადგენლები, რომლებმაც ბავშვებს დიდი მადლობა გადაუხადეს მათი კომპანიების არჩევისთვის. აღსანიშნავია, რომ დამსწრეთა შორის იმყოფებოდნენ 53-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილეები, ქალბატონები – **შორენა გამყრელიძე და ქეთი ჩოქური**.

ჩვენი და ჩვენი პედაგოგების მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა და ეს საპრეზენტაციო დღე შეაჯამა სკოლის დირექტორმა, ბატონმა **ტარას შვენიშვილმა** და შემდგომი წარმატებები გვესურვა.

სტატია მოამზადეს: **ეკატერინე მალაზია, ბარბარა ბარამიძე, სალომე კახაბერაძე, ნინო ქურდაძე**





# მხატვარი კედელო

თინათინ თუმანიშვილის სახელობის თბილისის თოჯინების მუზეუმი, 24 თებერვლიდან 3 მარტის ჩათვლით, მხატვარ **ქეთი მჭედის** ნამუშევართა მე-5 პერსონალურ გამოფენას მასპინძლობდა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ფერად გრაფიკაში შესრულებული 30 ნამუშევარი. მრავალფეროვანი თემატიკა – პორტრეტები, ნატურ-მორტები, ყვავილები, გაადამიანებული ცხოველები – მხატვლის მისტიკურ სამყაროში დაატარებდა.



ქეთი თინათინი სიმღერით მუშაობს სხვადასხვა მასალაში – აკვარელი, გუაში, ტემპერა, პასტელი, შერეული ტექნიკა, რაც უდავოდ სრულყოფილია წარმოაჩენს მის ნიჭიერებასა და განსაკუთრებულობას.

გამოფენაზე, რომელიც მუზეუმი დირექტორმა, ქალბატონმა **ნანა ოქრუაშვილმა** გახსნა, ქეთი მჭედის ხელოვნების უამრავმა თაყვანისმცემელმა მოიყარა თავი: რეზო ადამია, რადიმ თორდია, როსტოპ შენგელია, გოგი წერეთელი, ილია პატაშური, ჯოჯანი ვეფხვაძე, კინორეჟისორი ნანა ჯორჯაძე, მსახიობი გუგუა ზურდული, „ჩალღარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი ადემ ონა-

ლი, სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ დირექტორი, ბატონი აშქვდ ოზი, პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები, მეგობრები და ნათესავები.

ვახუტე „საქართველოს ლირიკს“ გამოკითხვის შედეგად, ხელოვნების სფეროში XXI საუკუნის ათწლეულის ვირტუოზებად დასახელდნენ: **ნინო ანანიშვილი, დათო საყვარელიძე, გოგი ჭიჭინაძე, ნიკა მგებნიშვილი, ვახტანგ კახიძე, გია**

**ბალაშვილი, ნინო სუხიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე (უმცროსი), ლადო ალფინძე (უმცროსი), ქეთი მჭედი** და **რუსუდან ფეტვაშვილი**.

სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ ხატვა-ხელოვნების პედაგოგი ქეთი მჭედი, 1983 წლიდან, მონაწილეობს რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო გამოფენებში. 1986 წელს მან წარჩინებით დაამთავრა ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელი

პედაგოგის კვალიფიკაციით, 1993 წელს კი – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახეით ხელოვნების ფაკულტეტი. 1998 წლიდან საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია; 2003 წლიდან მუშაობს „ჩალღარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმ „სხივში“. შ.პ.ს. ჩსდ-ს ინიციატივით, 2005-2008 წლებში ტარდებოდა რესპუბლიკური გამოფენა-

კონკურსები, რომელთა სულისჩამდგმელი იყო ქეთი მჭედი. აღსანიშნავია, რომ 2007 წელს ილია ჭავჭავაძის 170-ე წლისთავთან დაკავშირებით ჩატარებული გამოფენა-კონკურსის ექსპოზიცია სრულად იქნა გადატანილი განათლების სამინისტროს ფონდში.

ქეთის ბიოგრაფიული მონაცემები შესულია 2000 წელს გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ ნციკლოპედიაში „ვინ ვინაა?“. მხატვართა კავშირის გადარჩევით, მინიჭებული აქვს I ხარისხის დიპლომი „ხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის“. 2010 წელს, მერიის ვეფიდი, „თბილისობასთან“ დაკავშირებით ჩატარებულ გამოფენა-კონკურსში გადაეცა დიპლომი წარმატებული პედაგოგური მოღვაწეობისთვის.

პატრიარქის კურთხევით, 2006 წლიდან, წერს ხატებს, მისი დანერგული ხატები საქართველოს სხვადასხვა ეკლესიებშია დაბრძანებული.

ქეთი მჭედის ნამუშევრები აცულია სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში.

**ძითმან ჭითაბა**  
სკოლა-ლიცეუმ „სხივის“  
პედაგოგი

## ინფორმაცია

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, უცხოეთის წამყვანი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებათა პროფესორ-მასწავლებლები ლექციებს საბაზისო და კლინიკური მედიცინის სხვადასხვა სფეროში წაიკითხავენ. დღეს უცხოელ პროფესორებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი შეხვდა.

კლინიცისტი პროფესორები აპერიკიდან, ბრიტანეთიდან, ნორვეგიიდან, აუსტრიიდან, ისრაელიდან, გერმანიიდან, იტალიიდან საუნივერსიტეტო კლინიკებში კონსულტაციებს და ოპერაციებს უსასყიდლოდ ჩაატარებენ.

ბავშვთა ცნობილი ქირურგი ისრაელიდან იცხა ვინოგრადი გივი ფანაისა კლინიკაში ჩაატარებს ოპერაციებს, გოჩა ინოროფეას საუნივერსიტეტო კლინიკაში – ინსტრუქის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი პერფეგ კოსტრონი, უროლოგიის ინსტიტუტში უფასო ოპერაციებს – ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორი პიტერ ალკინი.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში, მუზენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებში უცხოელი სპეციალისტების, ცნობილი და წარმატებული პროფესორების ჩამოყვანას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი საბუნებისმეტყველო სასწავლო ლაბორატორია გახსნა. ახალ ლაბორატორიაში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ექსპერიმენტები ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში ჩატარდება, რაც საბუნებისმეტყველო საგნების პრაქტიკულ სწავლებას შეუწყობს ხელს.

ახალი ლაბორატორია **TEMPUS-ის** პროექტის „სტუდენტთა აქტიური სწავლება ბუნებისმეტყველებაში“ (**SALIS**) ფარგლებში შეიქმნა და მიზანდასახული ბუნებისმეტყველების სწავლების თანამედროვე მეთოდები მეთოდების განვითარებასა და სასწავლო პროცესში ექსპერიმენტული სწავლების მეთოდების ჩართვას. პროექტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კვლევაზე დაფუძნებულ ლაბორატორიულ სამუშაოებს, როგორც თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომების ერთ-ერთ საფუძველს ბუნებისმეტყველების სწავლებაში, საბუნებისმეტყველო კონცეფციების უკეთ შეცნობისა და ბუნებისმეტყველების არსის გაგების მიზნით.

განათლების სფეროში მიმდინარე ინიციატივების ასათვისებლად, ტრენინგების საშუალებით, პროექტი მასწავლებლებისთვის ბუნებისმეტყველების სწავლების სახელების დანერგვას ითვალისწინებს. მიზნის მისაღწევად, თითოეული მონაწილე ინსტიტუციისთვის შეიქმნა საბუნებისმეტყველო მასწავლებლების სატრენინგო მოდული. ტრენინგები ჩატარდება კვლევაზე დაფუძნებით. მოდული შესაძლებელს გახდის სტუდენტთა და მოსწავლეთა სწავლების გაძლიერებას, ლაბორატორიული სამუშაოების წარმართვას ინოვაციური მიდგომებით (მაგალითად, კვლევაზე დაფუძნებული სტრატეგიები ან ჯგუფური სწავლება ლაბორატორიებში).



**SALIS-ის** კონსორციუმში, რომლის მონაწილე მოღვაწეების, ისრაელის, საქართველოს, გერმანიის, ირლანდიისა და ბულგარეთის უნივერსიტეტები არიან, ერთობლივად ანვითარებს სატრენინგო კუროკულუმს, სასწავლო მოდულებს, მასალებსა და კონცეფციას, თუროგორ უნდა დაინერგოს ეს სიხლეები ტრადიციულ და იავ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ლაბორატორიული სამუშაოების საშუალებით.

ვინაიდან შესაბამისი საშუალებები საბაზისო დონეზე ხელმისაწვდომია ყველა SALIS-ის პარტნიორი ევროკავშირის ქვეყნისთვის, პროექტი ემზარება ექვსი ბუნეფიციარი ინსტიტუციის აკადემიური სფეროს გაძლიერებას პერსონალის ტრენინგისა და სასწავლო ლაბორატორიების აღჭურვის შემუშავებით. პროცესი ევროკავშირის პარტნიორ დაწესებულებებშიც ხელს შეუწყობს სწავლებას უწინარების და სატრენინგო მოდულების განვითარებაზე შექმნის საბუნებისმეტყველო განათლების გაუმჯობესების საფუძველს მეერ სკოლაში, რაც აუცილებელია საზოგადოების ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარებისთვის.

პროექტის კოორდინატორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და მასში სხვადასხვა ქვეყნის ათი უნივერსიტეტი მონაწილეობს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, პირველად საქართველოში, ახალი ელექტრონული საგანმანათლებლო გაზეთი შექმნა. **mascavlebeli.ge-ს** პრეზენტაცია დღეს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა. მიწვეულ სტუმრებს ახალი საგანმანათლებლო პორტალი განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა წარუდგინა. პრეზენტაცია მინისტრთან ერთად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი გია მამულაშვილიც ესწრებოდა.

ონლაინგაზეთი სკოლების მასწავლებლებს, დირექტორებს, მშობლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ მრავალფეროვან ინფორმაციას მიწავდის. **mascavlebeli.ge-ზე** განთავსდება აუდიო და ვიდეოკავშირებით, მასწავლებლების დამხმარე სახელმძღვანელოები, საგაკვეთიო პროცესის ინოვა-

ციურად წარმართვის მეთოდები, პროფესიონალების რჩევები, ბლოგები, კითხვების დასმა და პასუხები ონლაინრეჟიმში და სხვ.

გაზეთის მიზანია მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის ზრდასა და მ პროფესიის რეგულირების გზაზე, მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესში, ინფორმაციის დროული, საჯარო გზით მიწოდება, განათლების სისტემის ახალი მიზნებისა და სტრატეგიების გაეცნობა და მასში საზოგადოების ჩართულობა.

ონლაინგაზეთის პრეზენტაციას თბილისისა და სხვადასხვა რეგიონების სკოლების მასწავლებლები, დირექტორები და სხვა მონეული სტუმრები ესწრებოდნენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში უახლესი სტანდარტებით აღჭურვულ ლაბორატორიებს გაეცნო და ბიუროს ხელმძღვანელთან, გიორგი ხიზანიშვილთან ერთად სტუდენტებს შეხვდა.

უკვე 4 წელია, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებთან (თსუ, სტუ, თსსუ და სხვ.) თანამშრომლობს. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, მათი განათლების საფუძველზე, პრაქტიკული კურსი ბიუროში გაიარონ. პრაქტიკული კურსის ხანგრძლივობა ერთი აკადემიური სემესტრით განისაზღვრება.

საერთაშორისო სტანდარტებით აღჭურვულ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სტუდენტები კვლევის თანამედროვე მეთოდებს ეცნობიან. პრაქტიკული მეცადინეობა, ძირითადად, 3 მიმართულებით მიმდინარეობს: კრიმინალისტიკური, სამედიცინო და ქიმიური ექსპერტიზის განხრით.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის – სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (**ENFSI**) სრული წევრია.

აღსანიშნავი ფაქტია, რომ ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს (**FBI**) დე-ნემ ლაბორატორია **ENFSI** სამუშაო ჯგუფის წევრია.



იურისტის კონსულტაცია

რა შემთხვევაში შეიძლება შეწყვედოს შრომითი ურთიერთობა საჯარო სკოლის დირექტორსა და პედაგოგს შორის?

საჯარო სკოლის დირექტორსა და პედაგოგს შორის შრომითი ურთიერთობა შეიძლება შეწყვედეს შემდეგ შემთხვევებში:

- ა) მათ შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლისას;
ბ) ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევისას;
გ) მხარეთა შეთანხმებისას (პედაგოგის მიერ პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურის დატოვებისას);
დ) საჯარო სკოლის დირექტორის მიერ პედაგოგთან შრომითი ხელშეკრულების მოშლისას (როდესაც დირექტორი, თავისი ინიციატივით, ცალმხრივად, ახსნა-განმარტების გარეშე, წყვეტს შრომით ურთიერთობას პედაგოგთან);

ე) პედაგოგის მიმართ სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისას, რომელიც გამოიწვევს სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას;

ვ) პედაგოგის ხანგრძლივი შრომისუუნარობისას - თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება, ზედიზედ, 30 კალენდარულ დღეს ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 51 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, თუ მასწავლებელს გამოეყენებოდა აქვს ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შევსება;

ზ) საჯარო სკოლის ლიკვიდაციის წარმოების დაწყების ან პედაგოგის გარდაცვალების შემთხვევაში;

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის თანახმად, საჯარო სკოლის დირექტორი უფლებამოსილია, ვეადამე შეუნწყვიტოს მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება მის (პედაგოგის) მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის, საღმრთლო საქმიანობისათვის შეუფერხებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული ნების პედაგოგის არაკვალიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №959 ბრძანების თანახმად, მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყვედეს სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის შეწყვეტისას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

რა შემთხვევაში მიეცემა კომპენსაცია (არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება) პედაგოგს საჯარო სკოლის დირექტორის მიერ გასათან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას?

საჯარო სკოლის დირექტორის ინიციატივით პედაგოგთან შრომითი ხელშეკრულების მოშლის (როდესაც დირექტორი, თავისი ინიციატივით, ცალმხრივად, ახსნა-განმარტების გარეშე, წყვეტს შრომით ურთიერთობას პედაგოგთან) შემთხვევაში, პედაგოგს მიეცემა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება. საჯარო სკოლის პედაგოგს არ მიეცემა კომპენსაცია, თუ დირექტორი მასთან მოშლის შრომით ურთიერთობას ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

ამის თუ არა უფლება საჯარო სკოლის დირექტორს, პედაგოგის შვილებზე უფრო ადრე დატოვოს შრომითი ურთიერთობა?

საჯარო სკოლის დირექტორს არ აქვს უფლება, შეწყვიტოს პედაგოგთან შრომითი ურთიერთობა, როცა იგი (პედაგოგი) იმყოფება შევსებაში. შევსებაში ყოფნა ნარჩუნდგენს შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველს. შრომითი ურთიერთობის შეჩერება კი არის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროებით შეუსრულებლობა, რომელიც არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას. საერთო შრომის კონტინგენტის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეჩერებისას დაშვებულია შრომითი ხელშეკრულების მოშლა.

ამის თუ არა უფლება საჯარო სკოლის დირექტორს უფლება, მოსთხოვოს მასწავლებელს ანაზღაურების გარეშე შვილებზე უფრო ადრე დატოვოს შრომითი ურთიერთობა?

საჯარო სკოლის პედაგოგს აქვს უფლება, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შევსებაში - არანაკლებ, წელიწადში, 15 კალენდარული დღით. ანაზღაურების გარეშე შევსებაში გასვლის სურვილი და საჭიროება უნდა მომდინარეობდეს დასაქმებულის (პედაგოგის) და არა დასაქმებულის (საჯარო სკოლის დირექტორის) ანაზღაურების გარეშე შევსების აღებისას დასაქმებულის ვალდებულება, 2 კვირით ადრე გაფორმდეს დამსაქმებელი შევსების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფორმებულია შევსებულია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.

რა დამატებებს შეიძლება მიეცემა საჯარო სკოლის შინაგანაწესში?

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის თანახმად, სამუშაო სპეციალურად, საჯარო სკოლის დირექტორის ხელმძღვანელობის, აქტივობის სკოლის შინაგანაწესს, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომების წესებს და მათთვის გათვალისწინებულ დისციპლინურ სახდლებს, სკოლიდან გადაეცემა პირობებს.

